





1) მასწავლებელმა დაფაზე დაწერა ყველა ის სამნიშნა რიცხვი, რომელიც ბოლოვდება ერთიანით. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:


 ა) მასწავლებელმა რამდენნიშნა რიცხვები დაწერა დაფაზე?
1) ერთნიშნა 2) ორნიშნა 3) სამნიშნა 4) ოთხნიშნა


 ბ) რა ციფრით ბოლოვდება, მასწავლებლის მიერ დაფაზე დაწერილი თითოეული რიცხვი?
1) ნულით 2) ერთიანით 3) ორიანით 4) ცხრიანით

 გ) რა ციფრით ბოლოვდება, მასწავლებლის მიერ დაფაზე დაწერილი ყველა რიცხვის ჯამი?
1) ნულით 2) ერთიანით 3) რვიანით 4) ცხრიანით


2) 300 კილომეტრის გავლის შემდეგ ტურისტებს გასაველელი დარჩათ გზის $\frac{2}{7}$ ნაწილი. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:


 ა) რამდენი კილომეტრი გაიარეს ტურისტებმა?
1) 300 კმ 2) 120 კმ 3) 60 კმ 4) 30 კმ


 ბ) გზის რა ნაწილი დარჩათ ტურისტებს გასაველელი?
1) $\frac{1}{7}$ 2) $\frac{2}{7}$ 3) $\frac{5}{7}$ 4) $\frac{2}{5}$

 გ) რამდენი კილომეტრი დარჩათ ტურისტებს გასაველელი?
1) 420 კმ 2) 300 კმ 3) 120 კმ 4) 60 კმ

3) მასწავლებელმა ყველა ის ორნიშნა რიცხვი დაასახელა, რომლის ციფრთა ნამრავლი მარტივი რიცხვია. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

 ა) რამდენნიშნა რიცხვები დაასახელა მასწავლებელმა?
1) ერთნიშნა 2) ორნიშნა 3) სამნიშნა 4) ოთხნიშნა

 ბ) როგორი რიცხვია მასწავლებლის მიერ დასახელებული, თითოეული რიცხვის ციფრთა ნამრავლი?
1) მარტივი 2) შედგენილი 3) არც მარტივი, არც შედგენილი 4) მრგვალი

 გ) რამდენი რიცხვი დაუსახელებია მასწავლებელს?
1) 8-ზე ნაკლები 2) 8 3) 9 4) 9-ზე მეტი

4 მაგდამ რიცხვი 32 დაასახელა. ნინომ დაწერა, მაგდას მიერ დასახელებული რიცხვის ყველა გამყოფი. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რა რიცხვი დაასახელა მაგდამ?

- 1) 32 2) 16 3) 8 4) 4



ბ) რამდენი რიცხვი დაწერა ნინომ?

- 1) ერთი 2) სამი 3) ხუთი 4) ექვსი



გ) ნინოს მიერ დაწერილ რიცხვებს შორის რამდენი რიცხვია ისეთი, რომელსაც ერთი მაინც მარტივი გამყოფი აქვს?

- 1) არცერთი 2) ერთი 3) ხუთი 4) ექვსი

5 რვეული 1,4 ლარი ღირს, ბლოკნოტი – 2,8 ლარი, ხოლო წიგნი – 7,07 ლარი. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რა ღირს რვეული და წიგნი ერთად?

- 1) 7,47 ლარი 2) 8,011 ლარი 3) 8,11 ლარი 4) 8,47 ლარი



ბ) რა ღირს რვეული და ბლოკნოტი ერთად?

- 1) 3,12 ლარი 2) 4,12 ლარი 3) 4,02 ლარი 4) 4,2 ლარი



გ) რა ღირს რვეული, ბლოკნოტი და წიგნი ერთად?

- 1) 10,19 ლარი 2) 11,9 ლარი 3) 11,27 ლარი 4) 12,67 ლარი

6 მაღაზიაში 2 კილოგრამი და 200 გრამი ძეხვი იმდენივე ღირს, რაც 2 კილოგრამი და 300 გრამი სოსისი. 1 კილოგრამი და 150 გრამი სოსისი 7 ლარი ღირს.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რა ღირს 1 კილოგრამი და 150 გრამი სოსისი?

- 1) 3 ლარი და 50 თეთრი 2) 7 ლარი 3) 10 ლარი და 50 თეთრი 4) 14 ლარი



ბ) რა ღირს 2 კილოგრამი და 300 გრამი სოსისი?

- 1) 3 ლარი და 50 თეთრი 2) 7 ლარი 3) 10 ლარი და 50 თეთრი 4) 14 ლარი




გ) რა მასის ძეხვი მოგვივა 7 ლარად?

- 1) 2 კგ 100 გ 2) 1 კგ 200 გ 3) 1 კგ 150 გ 4) 1 კგ 100 გ




დ) რამდენი უნდა გადავიხადოთ სულ, თუ შევიძენთ 2 კილოგრამ და 200 გრამ ძეხვსა და 2 კილოგრამ და 300 გრამ სოსისს?

- 1) 7 ლარი 2) 14 ლარი 3) 28 ლარი 4) 56 ლარი


 7) დათომ მაღაზიაში თავისი ფულის ნახევარი და კიდევ 57 ლარი დახარჯა. ამის შემდეგ მას 123 ლარი დარჩა. რამდენი ლარი დარჩებოდა დათოს, თავიდანვე თავისი ფულის მხოლოდ მესამედი რომ დაეხარჯა?

- 1) 82 ლარი 2) 120 ლარი 3) 164 ლარი 4) 240 ლარი


 8) მოსწავლემ რვეულში ხუთი ერთმანეთის მომდევნო რიცხვი ჩაწერა. მათ შორის ერთ-ერთი იყო რიცხვი 4. ქვემოთ მოცემული რამდენი წინადადებაა მცდარი?

- მოსწავლის მიერ ჩაწერილი რიცხვების ჯამის ნახევარი შეიძლება იყოს ათწილადი რიცხვი;
- მოსწავლის მიერ ჩაწერილი რიცხვების ჯამის ნახევარი შეიძლება იყოს შედგენილი რიცხვი;
- მოსწავლის მიერ ჩაწერილი რიცხვების ჯამის ნახევარი შეიძლება იყოს მარტივი რიცხვი.


- 1) ერთი 2) ორი 3) სამი 4) არცერთი


 9) რას უდრის იმ ორნიშნა რიცხვის ციფრთა ჯამი, რომლის 2-ზე, 3-ზე, 4-ზე, 5-ზე და 6-ზე გაყოფის შედეგად ნაშთში მივიღებთ ერთს?

- 1) ხუთს 2) ექვსს 3) შვიდს 4) ასეთი ორნიშნა რიცხვი არ არსებობს


 10) ნამცხვარს ორი ერთნაირი ზომის ნაჭერი მოაჭრეს. ორივე მოჭრილი ნაჭერი ერთად დარჩენილი ნამცხვრის $\frac{1}{3}$ შეადგენს. მთლიანი ნამცხვრის რა ნაწილს შეადგენს ერთი მოჭრილი ნაჭერი?

- 1) $\frac{1}{6}$ -ს 2) $\frac{1}{4}$ -ს 3) $\frac{1}{8}$ -ს 4) $\frac{1}{3}$ -ს

 11) რას უდრის ABCD მართკუთხედის ფართობი, თუ ABKM კვადრატის პერიმეტრია 28 სმ, ხოლო MKCD მართკუთხედის კი – 34 სმ?



- 1) 62 სმ² 2) 70 სმ² 3) 119 სმ² 4) 129 სმ²

 12) მასწავლებელმა დაფაზე რაღაც რიცხვი დაწერა. ნუცამ ეს რიცხვი გაანახევრა, მიღებულ რიცხვი გაასამმაგა და პასუხი რვეულში ჩაწერა. მასწავლებლის მიერ დაფაზე დაწერილი რიცხვს, თუ მივუმატებთ ცხრას, მივიღებთ იმ რიცხვს, რომელიც ნუცამ რვეულში ჩაწერა. რა რიცხვი ჩაწერა ნუცამ რვეულში?

- 1) 18 2) 27 3) 36 4) 45